

პროპონის ენაბიდან მომდინარე Ia და Iu ჯგუფებიანი სივსვები გაღმოსავლელი ქართული

1. ქართულში მოიპოვება ბევრი ისეთი სიტყვა, რომლებიც ევროპის ენებიდან მომდინარეობს და რომლებშიც ევროპული ენების Ia და Iu ჯგუფი სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული; მაგ.: Ia ჯგუფისათვის შეიძლება შეგვხვდეს, ერთი მხრით, **კლახი, ლამპა, პროკლამაცია, დეკლამაცია, ბალანსი, ირლანდია, ისლანდია** და მისთ., მეორე მხრით, **იზოლიაცია, კომპილიაცია, რეგულიარული, პოპულიარული, მალიარია, ფინლიანდია** და მისთ.; Iu ჯგუფისათვის კი შეიძლება გვხვდებოდეს, ერთი მხრით, **ლუპა, ბლუზა, კლუბი** და მისთ. და, მეორე მხრით, **ევოლიუცია, რევილიუცია, ილიუსტრაცია, ალიუმინი** და მისთ. ზოგიერთი მათგანისა. ეს ქართულში მოიპოვება პარალელური ფორმები, მაგ., შესაძლებელია როგორც **იზოლიაცია**, ისე უმეტესად **იზოლიაცია**, როგორც **რევილიუცია**, ისე უმთავრესად **რევილიუცია** და მისთ.

2. ევროპის ენებში (ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში, იტალიურში და სხვ.), რომლებიც ლათინურ წერას მისდევენ, Ia და Iu ჯგუფის გამოთქმა ყველგან ერთნაირი არ არის; მაგრამ ქართულ ენას ამ ჯგუფებიანი სიტყვების სესხებისას თითქმის ყოველთვის რუსულთან აქვს უშუალო ურთიერთობა, ეს სიტყვები მას უმთავრესად რუსული ენიდან აქვს შეთვისებული.

სხვადასხვაობა ამ ჯგუფების გადმოცემისას ქართულში აიხსნება, ერთი მხრით, იმით, რომ თვით რუსულს სხვადასხვაგვარად აქვს გადმოცემული ეს ჯგუფები: Ia ჯგუფი ხან **ла-**თია გადმოცემული (მაგ. **лампа, декламация, прокламация, Ирландия** და მისთ.), ხან კი **ля-**თი (მაგ. **компиляция, симуляция, спекуляция** და მისთ.); Iu ჯგუფიც გადმოცემულია ხან **лу-**თი და ხანაც **лю-**თი (მაგ., ერთი მხრით, **клуб, лупа** და მისთ., მეორე მხრით, **эволюция, революция, резолюция, алюминий** და მისთ.).

3. რუსულის მიერ ორგვარი მოპყრობა აღნიშნული კატეგორიის სიტყვებისადმი აიხსნება ისტორიულად: იგი ამგვარ სიტყვებს სხვადასხვა ენიდან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით იღებდა. ამით აიხსნება, მაგალითად, ის გარემოება, რომ გეოგრაფიულ სახელებში, რომლებსაც ბოლოს გერმანული **-land** მოუღის, რუსულში ხან **-ландия** არის და ხან **-ляндия** (Голландия, Ирландия, Исландия, მაგრამ: Финляндия, Эстляндия, Курляндия).

4. იმ შემთხვევაში, როდესაც რუსული ენა Ia და Iu ჯგუფის მქონე ევროპულ სიტყვებში **ла** და **лу** ჯგუფებს ხმარობს, ქართულში არავითარი მერყეობა არ არის: ყველგან **ლა** და **ლუ** გვაქვს. სხვადასხვაობა და მერყეობა მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა რუსულში **ля** და **лю** არის: ამით შესაფერისად ქართულში ხან **ლა** და **ლუ** გვხვდება, ხან კი **ლია** და **ლიუ**, რაც რუსული წერისა და გამოთქმის თავისებურებათა ნიადაგზეა წარმოშობილი.

5. რუსულ ენას ახასიათებს საზოგადოდ თანხმოვანთა ორგვარი გამოთქმა: **მაგარი** და **რბილი**, მაგრამ წერისა და ბეჭდვის დროს სილბო და სიმაგრე თანხმოვნებისა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარადაა გამოხატული: ერთი მხრით, სილბოსთვის არსებობს **Ь** (МЯГКИЙ ЗНАК, „რბილი ნიშანი“), სიმაგრისთვის კი არაფერი; მაგ., **брат** და **братъ** სიტყვებში ბოლოკიდური **т** ერთ შემთხვევაში მაგარია (**брат**), მეორე შემთხვევაში კი რბილია (**братъ**); მასასადასმე, „რბილი ნიშნის“ („Ь“ ნიშნის) მოწერა დარბილებას აღნიშნავს თანხმოვნისას, უამისობა კი სიმაგრეს. ეს წესი გვხვდება მარცვლის ბოლოს. მეორე მხრით, თანხმოვნის სილბო-სიმაგრის გამოსახატავად რუსული ენა კომბინაციას მიმართავს მომდევნო ხმოვნის ნიშნებთან დაკავშირებით; ერთი რიგის ნიშნების წინ მაგრად გამოთქვამს, მეორე რიგის წინ კი რბილად.

რადგანაც ევროპული **la** და **lu** ჯგუფებიანი სიტყვების განხილვისას მარტო **ა** და **უ** არის საინტერესო, უნდა ითქვას, რომ ამ ხმოვანთა გადმოსაცემად რუსულს ორ-ორი ნიშანი მოეპოვება: **ა**-სთვის **а** და **я**, **უ**-სთვის **у** და **ю**. ამათგან **я** და **ю** ნიშნების შესახებ არასწორი წარმოდგენა არსებობს: ვარაუდობენ, თითქოს ისინი ყოველთვის **йа** და **йю** ჯგუფებს გადმოგვცემენ. მართალია, ასეთი გამოთქმაც აქვთ მათ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ., ცალკე აღებისას (ვთქვათ, **я** „მე“), ან სიტყვის თავში (მაგ., **ясно**; **Яков**, **юный**, **Юрий** და მისთ.), ან კიდევ „მაგარი ნიშნის“ (**ъ**) ან „რბილი ნიშნის“ (**ь**) შემდეგ (ვთქვათ, **объявление**, **съезд...**, **ладья** და მისთ.), მაგრამ სხვა შემთხვევაში ისინი იმავე ბგერებს გადმოგვცემენ, როგორცაც **э** და **у**, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ **а** და **у** ნიშნების დაწერა წინა თანხმოვნის სიმაგრეს მოასწავებს, **я** და **ю** ნიშნებისა კი იმავე წინა თანხმოვნის სილბოს; მაგალითად: **мать** и **мять** სიტყვებში ხმოვნები გამოთქმით ერთი და იგივეა, ორგანვე **а** ისმის, მაგრამ განსხვავებულია წინა თანხმოვანი **м**: პირველ შემთხვევაში იგი მაგარია (**мать**), მეორეში კი რბილი (**мять**). ასეთივე შეფარდება ამ მაგალითებშიც: **рад** და **ряд**, **вал** და **въл** და მისთ. აქ განსხვავებულად გამოითქმის თანხმოვნები **р** და **в** და არა მათი მომდევნო ხმოვნები.

რაც ითქვა **а**-სა და **я**-ს ურთიერთობის შესახებ, იგივე ითქმის **у**-სა და **ю**-ს ურთიერთობისა და შეფარდების შესახებაც; მაგალითად: **тук** და **тюк** რუსულ სალიტერატურო გამოთქმაში არა ხმოვნების მიხედვითაა განსხვავებული, არამედ თანხმოვნებისა: **т** ერთ შემთხვევაში მაგარია (**тук**), მეორეში კი რბილი (**тюк**).

6. მაგრად და რბილად გამოთქმის წესები რუსულში თანხმოვანთა უმეტესობას ეხება და მათ შორის **л**-საც. მისი დარბილება მარცვლის ბოლოში წერის დროს იმით გამოიხატება, რომ „Ь“ („რბილი ნიშანი“) უნდა მიეწეროს, სიმაგრე კი არაფრით აღინიშნება (ვთქვათ, **пыль** და **пыл**); ხოლო მომდევნო **а** და **у**-ს შემთხვევაში ზოგადი წესის მიხედვით, მისი სიმაგრე **а** და **у** ნიშნების მოწერით გამოიხატება, დარბილება კი **я** და **ю** ნიშნების საშუალებით; მაგ., **глядь** და **глядь**, **лук** და **люк** ერთიმეორისაგან **л** ასოს მიერ აღნიშნული ბგერით განსხვავდებიან, თორემ ხმოვანი პირველ შემთხვევაში იქაც **а** არის და აქაც **а**, მეორე შემთხვევაში იქაც **უ** და აქაც **უ**; რაც შეეხება **л**-ს, იგი **а** და **у**-ს წინ მაგარია (**глядь**, **лук**), **я** და **ю**-ს წინ კი რბილი (**глядь**, **люк**).

7. ქართულში არ მოგვეპოვება რუსულის მსგავსად თანხმოვანთა გაპალა-

1 გამოჩაქისის შედგენენ: ж, ш, ц, ч. III.

ტალება (დარბილება). ამიტომ ქართველი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა არ იცის და რომელსაც რუსული სიტყვები მხოლოდ სმენის საშუალებით აქვს შეთვისებული, უყურადღებოდ ტოვებს თანხმოვნების დარბილებას. ამის მაგალითები:

რუსული	ქართულში გადმოღებულია
кухня (кухня)	კუხნა ან ქუხნა
тѣтя (тьотья)	ტოტა
Оля (Ольа)	ოლა
Лѣля (Льольа)	ლოლა
Коля (Кольа)	კოლა
Соня (Сонья)	სონა
подряд (подрѣят)	ფოდრათი
Рюмка (ръумка)	რუმკა
Любовь (Льубовь)	ლუბა და მისთ.

ქართველი ინტელიგენტი კი, რომელმაც რუსული წერაც იცის და კითხვაც და რომელსაც ყ-ს დანახვაზე йа ჭგუფის წარმოდგენა გაუჩნდება ხოლმე, ხოლო ю-ს დანახვაზე йу ჭგუფისა, ვარაუდობს, რომ რუსული ля და лю ჭგუფები лйа და лйу ჭგუფებს ეფარდება და ამის გამო სათანადო სიტყვების ქართულად დაწერის დროს მას გადმოაქვს ღია და ღიჟ. მაშასადამე, ქართველ ინტელიგენტს ყ და ю ნიშნების ხმარება ლ-ს შემდეგ გათანაბრებული აქვს იმ შემთხვევებთან, როდესაც ეს ყ და ю ნიშნები სიტყვის წინ გვხვდება (როგორცაა, მაგ., Яков, Юрий და სხვ.).

8. ეს გათანაბრება ყ და ю ნიშნებით გამოხატული სხვადასხვა ბგერისა არ არის სწორი. რუსული გამოთქმის თვალსაზრისით სწორი რომ იყოს, მაშინ შეგვეძლო გადმოგველო ля და лю ასე: ღაა, ღაჟ (მაგალითები რომ დავასახელოთ, ასე: იზოღააცია და რეზოღაჟიცია).

ამაზე უნდა ითქვას, რომ აა და აჟ კომპლექსები, რომლებიც დიფთონგებია, არ გვქონია არც ძველად; ძველად გვქონდა დამავალი დიფთონგები, რომლებიც კარგა ხანია გაქრა სალიტერატურო ქართულში და ქართულის თითქმის ყველა ცოცხალ კოლოში ა ნიშნით გამოხატული ბგერის გაქრობასთან ერთად. ასე რომ, კდევაც რომ დაწერილიყო ღაა და ღაჟ, გამოთქმაში მაინც ორ-ორი მარცვლი გამოგვივიდოდა. ეს იმიტომ, რომ საზოგადოდ დიფთონგების გამოთქმაზე ქართულმა ენამ დიდი ხანია ხელი აიღო და იმის გამოცოცხლება ამჟამად აღარაა შესაძლებელი.

9. როცა აღნიშნული კატეგორიის სიტყვებში ქართულად იწერება ღია და ღიჟ, ინტელიგენტთა გამოთქმაში ჩვეულებრივ მოისმის არა ორი მარცვლი, არამედ ერთი, თანაც ისე, რომ ხმოვანი ა და უ გამოთქმულია, ი კი არა. სამაგიეროდ, წინა თანხმოვანია დარბილებული მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვა იწერება ქართული ასოებით, მაგრამ გამოთქმა (ღია და ღიჟ-ს მიმართ) რუსულია შემონახული. მაგალითად, იწერება ტრანსლიაცია და ევოლიუცია, გამოითქმის კი ტრანსლაცია და ევოლუცია. ასეთი შეუფარდებლობა, რომელიც ორენოვან ინტელიგენტთა საუბარს ახასიათებს, ქართულს სხვა შემთხვევაში არა აქვს; აქ კი დარღვეულია ის კარგი წესი, რომელიც (ზო-

ვიერთ გამოწვევას თუ არ მივიღებთ მხედველობაში) ახასიათებს შეფარდებას ქართულ წერასა და კითხვას შორის: იწერება ისე, როგორც გამოითქმის, და გამოითქმის ისე, როგორც იწერება.

10. ქართული ლ არც მაგარ რუსულ *л*-ს უდრის და არც რბილს, მაგრამ იგი უფრო ახლოს დგას რბილთან, ვიდრე მაგართან. ევროპის ენათგან ქართული ლ თავის სიღრმითი ძალიან ახლოს დგას გერმანულთან და იტალიურთან. ამიტომ უფრო ბუნებრივია ქართული გამოთქმისათვის, რომ *л* და *л*იო წგუფები ლა-სა და ლუ-ს სახით იქნეს წარმოდგენილი.

11. ევროპის ენებიდან რუსულის გზით შემოსულ სიტყვებში *la* და *lu* წგუფს ქართულში არ შეეფარდება ლა და ლიუ, რომლებიც ორმარცვლიანებია და ძალიან დაშორებულია რუსულისა და ევროპის ენების გამოთქმას; მაგრამ იმავე *la* და *lu* წგუფს არ შეეფარდება არც ლა და ლაუ, რომელთა ერთმარცვლოვანი (დიფთონგური) გამოთქმაც დღევანდელი ქართულისათვის სრულიად უცხოა.

ნათქვამის მიხედვით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დაკანონდეს შემდეგი წესი:

ევროპული ენებიდან მომდინარე *la* და *lu* წგუფებიანი სიტყვები, რომლებიც რუსულ ენაში გამოვლით *л* და *л*იო კომპლექსიან ფორმებს იძლევა, ქართულში უნდა გადმოიცეს მხოლოდ და მხოლოდ ლა და ლუ წგუფებით. ეს არის ერთადერთი სწორი გადმოღება *la* და *lu* წგუფების შემცველი ევროპული სიტყვებისა ქართულში.

მაშასადამე, უნდა ვწეროთ

ლა-ს შემცველი სიტყვები.

აკუმულაცია, აკუმულატორი, ახიმილაცია, იზოლაცია, იზოლატორი, კანცელარია, კომპილაცია, კომპილატორი, მალარია, პლაჟი, პოლარული, პოლარიზაცია, პოპულარული, რეგულარული, ტრანსლაცია და მისთ.

ლუ-ს შემცველი სიტყვები:

ალუმინი, გლუკოზა, ევოლუცია, ილუზია, ილუმინაცია, ლუთერი, ლუ-მანიტი, მოლუსკი, პლუს, პოლუსი, რევილუცია, რევიოლუცია, ჰალუცინაცია და მისთ.

შენიშვნა. ეს წესი ამჟამად სალიტერატურო ქართულში არსებითად გატარებულია და მომავალშიც მტკიცედ უნდა იქნეს დაცული.